

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქართველოლოგიური სკოლის ცენტრი

ქართველოლოგი

29



საგამომცემლო ინფორმაცია

ქართველოლოგია ფართო გაგებით ნიშნავს ქართული კულტურის, ისტორიისა და ქართულ სამყაროსთან დაკავშირებული ჰუმანიტარული სფეროს სხვა დარგის შესწავლას. ესენია: ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა, ხელოვნება, არქეოლოგია, ფოლკლორი, ეთნოგრაფია, წყაროთმცოდნეობა და სხვ.

ჟურნალი „ქართველოლოგი“ ორენოვანი (ქართული და ინგლისური), პროფესიული და აკადემიური ჟურნალია. ქართველოლოგიის დარგში მეცნიერული სიახლეების დანერგვასთან ერთად იგი მიზნად ისახავს ქართველ მკვლევართა ნარკვევების პოპულარიზაციას საერთაშორისო დონეზე და საზღვარგარეთული ქართველოლოგიური მეცნიერების გავრცელებას ქართულ სამეცნიერო წრეებში.

„ქართველოლოგი“ წელიწადში ერთხელ გამოდის როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული სახით. 1993-2009 წლებში იგი მხოლოდ ბეჭდურად გამოდიოდა (N1-15). გამომცემელია „ქართველოლოგიური სკოლის ცენტრი“ (თსუ), ფინანსური მხარდამჭერი – „ქართველოლოგიური სკოლის ფონდი“. ჟურნალის დამაარსებელია ელგუჯა ხინთიბიძე.

სარედაქციო კოლეგია:

ჟურნალის ირგვლივ შემოკრებილი უცხოელი ავტორები თავიანთ ქართველ კოლეგებთან ერთად არიან „ქართველოლოგის“ სარედაქციო კოლეგიის წევრები, აქტიური მონაწილეები ჟურნალის სამეცნიერო სტილისა და ფორმის ჩამოყალიბებაში, სამეცნიერო სტატიების ავტორები, ზოგიერთ შემთხვევაში გამოსაქვეყნებელი სტატიების რეცენზენტები და თავიანთ ქვეყნებსა და სამეცნიერო ცენტრებში ქართველოლოგიის პრობლემატიკის პოპულარიზატორები.

ბახტაძე მიხეილ (ისტორია) – საქართველო; ბეინენი ბერტ (რუსთველოლოგია) – აშშ; ბოედერი ვინფრიდ (ენათმეცნიერება) – გერმანია; დობოროვსკინი ნინო (ენათმეცნიერება) – საქართველო; ენოხი რუვენ (ქართული ენა, ქართულ-ებრაული კულტურული ურთიერთობები) – ისრაელი; კოჯიმა იასუჰირო (ქართველური ენები) – იაპონია; კუდავა ბუბა (ხელნაწერთმცოდნეობა) – საქართველო; ლიჩელი ვახტანგ (არქეოლოგია) – საქართველო; მაგაროტო ლუიჯი (ქართული ლიტერატურა) – იტალია; მელიქიშვილი დამანა (ქართული ენა) – საქართველო; ნიკოლეიშვილი ავთანდილ (ქართული ლიტერატურა) – საქართველო; რატიანი ირმა (ლიტერატურათმცოდნეობა) – საქართველო; სიხარულიძე ქეთევან (ფოლკლორი) – საქართველო; ტიუიტი კევინ (ეთნოგრაფია და ფოლკლორი) – კანადა; უტიე ბერნარ (შუა საუკუნეების კვლევები) – საფრანგეთი; ფეინრიხი ჰაინც (ქართული ენათმეცნიერება) – გერმანია; შურაია გაგა (ქართული ლიტერატურა) – იტალია; ჩიხლაძე ნინო (ქართული ხელოვნების ისტორია) – საქართველო; ხოტივარი-იუნგერი შტეფი (ქართული ლიტერატურა) – გერმანია.

სამეცნიერო რედაქტორი: ელგუჯა ხინთიბიძე

ჟურნალის თითოეული ნომრის მომზადებას და გამოქვეყნებას ახორციელებს ჟურნალის სარედაქციო ჯგუფი:

მანანა რუსიშვილი – ინგლისური ტექსტის რედ.
თამარ მელიქიძე – ტექსტის რედ.
სოფიო გულიაშვილი – ქართული ტექსტის რედ.

ცირა ვარდოსანიძე – კორექტორი
კონსტანტინე ლომიძე – კორექტორი
ირმა მაკარაძე – ქართული ტექსტის რედ.

ჟურნალის სარედაქციო საბჭო, საგამომცემლო ჯგუფი და რეცენზენტები ზოგიერთ შემთხვევაში არ იზიარებენ გამოქვეყნებული სტატიების სტილისტურ თავისებურებებს და მათში გამოთქმულ თვალსაზრისებს.

© ქართველოლოგი
ქართველოლოგიური სკოლის ფონდი
13, ჭავჭავაძის გამზირი, თსუ
0179, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: kartvcentre@hotmail.com;
kartvelologist@gmail.com
ვებგვერდი: kartvelologi.tsu.ge;
kartvelologi.openjournal.ge

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2023
ISSN 1512-1186

კვლევები: ქართულ-ევროპული ლიტერატურული ურთიერთობები

**ევროპელ დიპლომატ-მკვლევართა
(XVIII-XIX სს.) ღვაწლი კავკასიოლოგიაში**

იზა ჩანტლაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საპატიო პროფესორი

მარიკა ოძელი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეზიუმე: სტატიაში ნაჩვენებია ევროპელი მეცნიერების წვლილი ქართველურ ენათა შესწავლის საქმეში. ყურადღება გამახვილებულია ოლივერ უორდროპის ინგლისურ-სვანურ ლექსიკონზე, რომელიც, შეცდომების მიუხედავად, მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის სვანურ ენაზე. გარდა ამისა, საუბარია ევროპელ მოგზაურ-დიპლომატთა (პეტრე პალასი, იოჰან გიულდენშტედტი, ჯორჯ ელისი, დემეტრიუს პიკოკი...) დამსახურებასა და დ. პიკოკის ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-აფხაზურ ლექსიკონზე. ამასთანავე, ყურადღება გამახვილებულია დუგლას ფრეშფილდის ორტომეულზე, რომელშიც გადმოცემულია ალპინისტთა სამარშრუტო მყინვარებთან ახლოს მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა წეს-ჩვეულების შესახებ ლექსუმი, ქვემო სვანეთსა და ზემო სვანეთში.

საკვანძო სიტყვები: ოლივერ უორდროპი; მარჯორი უორდროპი; სვანური ენა; ინგლისურ-სვანური ლექსიკონი; ევროპელი დიპლომატ-მკვლევარები

სამი ათეული წლის განმავლობაში მეგობრობდნენ გამოჩენილი ავსტრიელი და ქართველი მეცნიერები – ლინგვისტი (ინდოევროპისტი, კავკასიოლოგი) ჰუგო შუხარდტი და ქიმიკოსი პეტრე მელიქიშვილი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორი), რომელსაც უცხოელი კოლეგისტვის პირველი გაკვეთილები ჩაუტარებია ქართულ ენაში. „საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი“, დიდი ექვთიმე თაყაიშვილი ასე იგონებდა დიდი აკადემიკოსის ნათქვამს: ერთხელ ჰუგომ მითხრა: რა თქვენი საქმეაო ქიმია? ქიმიაში კვლევადიებას ევროპელებიც კარგად შესძლებენ. თქვენ ასეთი მდიდარი ენა გაქვთ და კილოგაგები, ეს შეისწავლეთ და ამის გამოკვლევაში დაგვეხმარეთ, უთქვენოდ ამას ჩვენ თავს ვერ გავართმევთო (გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1927, №135); 1895 წელს კი თავის დიდებულ ნაშრომში „Über das Georgische“ ჰუგო შუხარდტი დიდი გულისტკივილით აღნიშნავდა: გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, რომ დასავლეთის მეცნიერები ქართულ ენას მცირე ყურადღებას უთმობენ, თუმცა ამ ფრაზის შემდეგ იგი სიამაყით გახაზავდა, რომ ინგლისელი ჯონ ოლივერ უორდროპი რუსეთშიც კი ქართულს სწავლობსო [22, გვ. 7-8].

მართლაც განუზომელია და-ძმა მარჯორი და ოლივერ უორდროპების ღვაწლი ქართული კულტურისა თუ ქართველურ ენათა მონაცემების ევროპაში პოპულარიზაციის საქმეში! განსაკუთრებით აღსანიშნავია ბრიტანეთის მუზეუმსა და ათონის ქართველთა მონასტერში დაცულ ხელნაწერთა კატალოგი, რომელიც დაიბეჭდა „Journal of Theological Studies“-ის XII ტომში 1910-1911 წლებში. ამას მოჰყვა ბატონი ოლივერის მიერ შედგენილი „English-Svanetian Vocabulary“-ის გამოცემა ჟურნალში „Of the Royal Asiatic Society of Great Britain and Ireland“ (ტ. 43, London, 1911) [25].

მიუხედავად იმისა, რომ საანალიზო ლექსიკონი მცირე მოცულობისაა (შეიცავს 1334 ლექსემის განმარტებას), სხვა ევროპელ მოგზაურ-დიპლომატთა თუ რუსეთის საიმპერატორო აკადემიის წევრთა (პეტრე პალასი – 1786 [27], იოჰან გიულდენშტედტი – 1787 [16], ჯორჯ ელისი – 1788 [15], დემეტრიუს პიკოკი – 1887 [21],...) ანალოგიური გამოცემების მსგავსად, მაინც მეტად მნიშვნელოვანია იმის გამო, რომ მასში თითქმის საუკუნე ნახევრის წინანდელი სვანურია წარმოდგენილი. „ყოველგვარი დოკუმენტაცია, რასაც შეუძლია უმწერლო ენათა ძველი ვითარების შესახებ გარკვეული ცოდნა შეგვძინოს, მეცნიერულად ფასეულია ამ ენათა ისტორიისათვის... გასაკვირი შეცდომები კი არ არის, არამედ ის, რომ მეტი უზუსტობა არ დასტურდება“ [12, გვ. 20, 111] უცხოელ მოგზაურ-მკვლევართა შრომებში. ზოგმა მათგანმა არც ერთი იბერიულ-კავ-

კასიური ენა არ იცოდა, ამიტომ მთქმელებთან ურთიერთობისას იწერდნენ გარკვეულ ლექსიკას: შოტლანდიელი არისტოკრატის ლექსიკონის სიტყვა-სტატიები და მათი გრამატიკული ფორმები ისეთ არქაულ შთაბეჭდილებას ტოვებენ, რომ, ჩვენი აზრით, ოლივერ უორდროპის ინფორმატორები, ძირითადად, კალაღბალდედუშგულის მკვიდრნი უნდა ყოფილიყვნენ (შდრ. ნინო აბესაძის ვარაუდი, რომლის მიხედვით, ლექსიკონის მასალები სვანური ენის ოთხივე დიალექტის წარმომადგენლებისგან იყო ჩაწერილი [1, გვ. 297]. სვანურ ლექსემათა ლათინურ ტრანსკრიფციებშიც არაერთი შეცდომაა, მაგრამ მაინც, შესაძლებლობის ფარგლებში, ჩვენ უნდა გავასწოროთ ისინი, შევუდაროთ ანალოგიურ გამოცემებს (მაგალითად, 1887 წელს ლონდონში, სამეფო სააზიო საზოგადოების ჟურნალის XIX ტომში, დაბეჭდილ დ. პიკოკის ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-აფხაზურ ლექსიკონს, რომელსაც იცნობს საანალიზო ნაშრომის ავტორი და მის შეცდომებსაც ასწორებს¹ [21]), რათა ვაჩვენოთ მსგავსება-განსხვავებანი, და უორდროპისეულ ინგლისურენოვან შესატყვისებს სქოლიოებში მივუწეროთ ქართული თარგმანებიც.

ოლივერ უორდროპი, ალბათ, იცნობდა გამომცემელ ჯ. ედვარდსის წიგნსაც (ავტორის გვარი რომ არ აწერია!) „რუკა შავი და კასპიის ზღვებს შორის მოთავსებული ქვეყნებისა, კავკასიის ხალხთა აღწერითა და მათი ენების სიტყვარებით“ [15], რომელიც იყო თუ არა ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლეს ბიბლიოთეკაში იმ დროს, როდესაც იქმნებოდა “English-Svanetian Dictionary” [25], ეს (და კიდევ არაერთი რამ ინგლისურ-ქართული ურთიერთობიდან!) უნდა დადგინდეს ჩვენი ინგლისში მუშაობით. ხსენებული ნაშრომი, რომელშიც სხვა საინტერესო მასალებთან ერთად წარმოდგენილია იბერიულ-კავკასიურ ენათა (მათ შორის: ქართული, მეგრული, სვანური) ლექსიკონებიც, ბრიტანელი კოლეგების ინფორმაციით, ამჟამად ინახება უორდროპების ფონდში², უდროოდ გარდაცვლილი დის ხსოვნის აღსანიშნავად და ქართველურ ენათა ოჯახის შესწავლის მიმართ ევროპაში ინტერესის გასაღვივებლად რომ

¹ საოცარი ფაქტია! – თავის “English-Svanetian Dictionary”-ში ავტორი ასწორებს ლონდონში უფრო ადრე გამოცემულ ხუთენოვან ლექსიკონში დ. პიკოკის მიერ დაშვებულ არაერთ (მათ შორის სვანურ) შეცდომას, თუმცა ბათუმში ბრიტანეთის ინტერესების ერთადერთი დამცველის შესახებ ო. უორდროპი იმასაც ამბობდა, რომ მისი მოღვაწეობა უფრო დიდ აღიარებას იმსახურებსო.

² მოსალოდნელია, რომ აქვე ვიპოვოთ პოლიგლოტ დ. პიკოკის კავკასიისადმი მიძღვნილი ნაშრომიც, რომელიც, სპეციალური ლიტერატურის (Morfill, 1895: 137-138) მიხედვით, არსად ჩანს, და ორიენტალისტ რ. ნ.კასტის ინფორმაცია კავკასიის ენათა შესახებ (ჟურნალი JRAS, 1884, ტ. 17).

შექმნა ოლივერ უორდროპმა. მან შესანიშნავად იცოდა, რომ აუცილებელი იყო ცოცხალი მეტყველების ზუსტი ფიქსაცია ფონოგრაფების საშუალებით (მაშინ ამისთვის სხვა ტექნიკური აღჭურვილობა არ არსებობდა!) და დიდ იმედს გამოთქვამდა, რომ ბრიტანელი სტუდენტები ამ საქმეს დროულად მოჰკიდებენ ხელსო. მანამდე კი თავის ლექსიკონში წარმოდგენილი მასალები მას მიაჩნდა შემდგომი სერიოზული კვლევის საწყის მცდელობად, რაშიც კარგად ჩანს ამ თავმდაბლური განცხადების ავტორის მაღალი არისტოკრატიზმი.

დიპლომატი ოლივერ უორდროპი ბრიტანეთისა და რუსეთის საელჩოს კონსული გახლდათ, რომლის რეზიდენცია ბათუმში მდებარეობდა. ის რომ ძალზე განათლებული და არაერთი უცხო ენის მცოდნე იყო, კარგად იგრძნობა მისი სიტყვარიდანაც – თითქმის ყველა შემთხვევაში ქართულიდან ნასესხებ სვანურ ლექსემას მიწერილი აქვს აბრევიატურა G. მაგალითად: Vien – dsargual (G. dzarghvi), რომელიც რატომღაც ლაშხური დიალექტის ფორმითაა მოცემული, თანაც მრავლობით რიცხვში. მოსალოდნელია, რომ უორდროპმა ძირითად ინფორმატორთან, მაშინდელი სვანეთის ცნობილ საზოგადო მოღვაწესთან, დიდი ილია ჭავჭავაძის მეგობართან – ბესარიონ ნიჟარაძესთან მათ არსენ ონიანიც (აკადემიკოს ნიკო მარის რედაქტორობით გამოცემული ლაშხური მასალებისა და მცირე ბოტანიკური ლექსიკონის [26]³ ავტორი) გაეცნოთ ქუთაისში (რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, და-ძმა ლაშხეთში არ ყოფილა, თუმცა დაშდვ/დაშტვ „დათვი“, ვისგვ/ვუსგვ/ვუსკ „ვაშლი“, ისგუ/ისკუ „შენი“ და ანალოგიური პარალელური ფუძეები შესაძლოა ქვემო სვანურის ასახვაც იყოს!) ან ძარღჟალ ვინმე ახალგაზრდა ბალსზემოელისგანაა ჩაწერილი. დღეს ეს სიტყვა მთელ სვანურში (გარდა ლაშხური დიალექტისა) წარმოდგენილია საერთოქართველური ფუძეებიდან მომდინარე ფონემათ შესატყვისობით ჯარღჟ. სამწუხაროდ, ლექსიკონში არც უძლავუტიანი ფორმებია შენიშნული ბოლომდე და არც გრძელი ხმოვნები (მოსალოდნელი კი იყო ბესარიონ ნიჟარაძესთან ურთიერთობის წყალობით!), თორემ ჩვენი ვარაუდისთვის მეტი საფუძველი გვექნებოდა.

ოლივერ უორდროპს შეეძლო მიეთითებინა ლათინური Vena'ც, რომელიც ქართულში მაშინაც იხმარებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, არ იცოდა⁴. სამაგიე-

³ ეს წიგნები ინახება ბოდლეს ბიბლიოთეკაში, სადაც, აგრეთვე, დაცულია კ. ფ. ვოლგის, რ. ბერნოვილის, დ. ფრემფილდის, რ. ბლაიხშტაინერის, კ. ბოროზდინისა და დ. ორბელის სვანეთისადმი მიძღვნილი ზოგი წიგნი, რომელთა შესახებ საქართველოში ჯერჯერობით თითქმის არაფერი იციან (აუცილებელია მათი შესწავლა!).

⁴ ოლივერ უორდროპი კარგად იცნობდა თბილისში გამოცემული კრებულის "Сборникъ матеріаловъ для описанія мѣстностей и племенъ Кавказа" სხვადასხვა ტომს. ვფიქრობთ,

როდ, მას სხვაგან აქვს მითითება არა მხოლოდ ბერძნულ-ლათინურ, არამედ აღმოსავლურ ენებზეც:

Key – kel, kyl (G. clite, cf. Pers. and Lat.), ანუ: კელ, კგლ (ქართ. კლიტე, მდრ. სპარს. და ლათ.).

აქ სვანურში მხოლოდ kyl უნდა ყოფილიყო, რადგანაც kel არის „სახელური, ტარი“ ან „ღერო“.

როგორც ჩანს, ო. უორდროპს ლექსემათა ძირების ეტიმოლოგიური ჯგერე-ტის უნარიც ჰქონდა:

ინგლისური Warm („თბილი“) სვანურში წარმოდგენილია tebdī-ს სახით, რომელსაც ფრჩხილებში მიწერილი აქვს აბრევიატურა G. ალბათ, ავტორს წაკითხული ჰქონდა იმდროინდელი სპეციალური ლიტერატურა (რაც კარგად ჩანს ჩვენი საანალიზო ლექსიკონის წინასიტყვაობიდან), სადაც სვანური ტებ-ძირი დაკავშირებული იყო ძველ ქართულ ტეფ- ან ლაზურ-მეგრულ ტუბ-/ტიბ-/ტებ ძირებთან. ეს შესატყვისობა დაადგინა საუკეთესო გერმანელმა კავკასიოლოგმა გერჰარდ დეეტერსმა 1926 წლის ნაშრომში „Armenisch und Südkaukasisch“ [14], მაგრამ ინგლისურ-სვანური ლექსიკონი რომ გაცილებით ადრე (1911 წ.) დაიბეჭდა [25]? მაშასადამე, საკვლევია, ეს მეტად საინტერესო მიგნება უორდროპისეულია, თუ მან რომელიმე ადრინდელი მკვლევრის ნაშრომში ამოიკითხა? – ალექსანდრე ცაგარლის ან ნიკო მარის ნაშრომებში ხომ არა? აშკარაა, რომ მათ არა მარტო პირადად იცნობდა ოლივერ უორდროპი, არამედ იმ დროისათვის უკვე საყოველთაოდ აღიარებულ ლინგვისტთა შრომებსაც კითხულობდა; სხვაგვარად ვერ ავხსნით მისი ინგლისურ-სვანური ლექსიკონის sgiai („თქვენ“), lydgyar („მკვდარი“), myskiad („ბეჭედი“) სიტყვა-სტატიებს, რომლებშიც, მართალია, უძლავი არ აღინიშნება, მაგრამ გვაქვს დოტაცია (i, y გრაფემებით ფიქსირებული). სწორედ ასე გამოხატავდა თავის დროზე ნიკო მარი უკანაენისმიერ გ, ქ, კ თანხმოვანთა მომდევნო პოზიციაში მყოფ -ა ხმოვანს, განსხვავებით აკაკი შანიძისაგან, რომელიც ასეთ სიტუაციაში მხოლოდ უძლავტზე (-ჲ) მიუთითებდა: „გუტურალთა შემდეგ პალატალი - ჲ-ნის წინ იოტაცია ყველგან და ყოველთვის თავისთავად და უთუოდ იგულისხმება“-ო, წერდა ის თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „უძლავტი სვანურში“ [9]. ალბათ, ამიტომ დააფიქსირა შოტლანდიელმა ავტორმა ასე ზუსტად სვანური იოტიზი-

მას უთუოდ ექნებოდა ხელთ ივანე ნიჟარაძის „Русско-сванский словарь“, რომელიც მის ლექსიკონამდე ერთი წლით ადრე (1910 წ.) დაიბეჭდა ამ კრებული 41-ე ტომში; **Вена** – z i s x i л а з а л а л ц а р 5 в, ანუ: **ვენა** – სისხლის სადინარი ძარღვი – აღნიშნულია მასში.

რებული ფორმები თავის ლექსიკონში. მოსალოდნელია, მისთვის კონსულტაცია გაეწია ნიკო მარსაც პეტერბურგში ცხოვრებისა და მუშაობის დროს.

ძალზე საყურადღებოა, რომ უმრავლეს შემთხვევაში ლექსიკონში მითითებულია მრავლობითი რიცხვისა და შედარებით იშვიათად – ნათესაობითი ბრუნვის ფორმები, ჩვეულებრივ -შ თანხმოვანმოკვეცილები, რაკილა ო. უორდროპის ნაღვაწი, ძირითადად, ბალსზემოური დიალექტის მონაცემთა ამსახველია. მაშასადამე, თანამედროვე ლინგვისტს ეძლევა საშუალება იმისა, რომ -იშ მორფემის ცვეთის პროცესი საუკუნე ნახევრის წინ დაადასტუროს სვანურ ენაში.

ზოგჯერ ანბანთრიგზე გაწყობილ სისტემას ბუდობრივი განლაგების პრინციპიც ახლავს:

Hand, shi, pl. shiar, shun⁵, t'hot'h, t'hot'hil, tvet, gen. sing. toti, pl. nom. totar; right hand, mursghven t'hvet'h; left hand, wp: mirthen⁶ t'hvet'h; nails tzkharal, fingers, p'hkhuliar; palm, mimi⁷ guigv...

ანუ (თანამედროვე ორთოგრაფიით):

ხელი -ში, მრ. რ. შიარ; შუნ, ტოტ, ტოტილ, ტუეტ, ნათ. მრ. რ. ტოტ-ი, სახ. მრ. რ. ტოტარ; მარჯვენა ხელი – მურსგვენ ტუეტ; მარცხენა ხელი – მირთენ ტუეტ; ფრჩხილები – ცხარალ; თითები – ფხულიარ; ნები, ხელისგული – შიმი, გუიგუ.

„ჩვენ არ ვცდილვართ ზემო და ქვემო სვანური დიალექტების ერთმანეთისგან გარჩევასო“ – აღნიშნულია ლექსიკონის წინასიტყვაობაში. ალბათ, ამის გამოა, რომ მასში რიცხვითი სახელები ფიქსირებულია როგორც ათობითი, ისე ოცობითი თვლის სისტემის მიხედვით [11, გვ. 37];

სემემდ („სამ ათი“) / ერვეშთიემთ („ორ ათი და ათი“) – ოცდაათი

ვოშთხვემდ („ოთხ ათი“) / ურინერვემთი („ორჯერ ორი ათი“) – ორმოცი

ლექსიკონში კითხვითი და მიმართებითი ნაცვალსახელები თუ შესაბამისი ზმნისართები ერთმანეთისგან გათიშული რომ არ არის, ეს მკვლევრის ინგლი-

⁵ Hand („ხელი“) სიტყვა-სტატის სვანურ ნაწილში shun („ხელთ, ხელში“) და t'hot'hil (კნინ. ფ.)'ს აუცილებლად უნდა ჰქონოდა თარგმანიც და გრამატიკული განმარტებაც.

⁶ ინგლისურ-სვანური ლექსიკონის შემდგენელს ტოტ და ტუეტ კი შეუმჩნევია, თუმცა ვერ მიხვედრილა განსხვავებას ლექსიკურად ერთი და იმავე მნიშვნელობის ამ ორ სხვადასხვა ფორმას შორის, მირთენ („მარცხენა“) და ფხულიარ („თითები“) ლექსემათა ფიქსაციაში კი თითქმის ჩანს უძლავუტის კვალი (მდრ. ბზ. მგრთენ და ფხულარ).

⁷ მცდარი ტრანსკრიფციაა, უნდა ყოფილიყო shimi.

სურენოვნობის ბრალი კი არაა [იხ. 1, გვ. 303], არამედ იმის, რომ, როგორც XX საუკუნის დასაწყისში, ისე დღესაც სვანური ენის არაერთ კილოვავში (განსაკუთრებით არქაულობით გამორჩეულებში, მათ შორის უშგულურშიც!) ისინი ერთმანეთისაგან მხოლოდ კონტექსტით განსხვავდებიან (შდრ. ძვ. ქართ.). ესეც და სხვა არაერთი ფაქტი უცხოელ თუ ქართველ მეცნიერ-მოგზაურთა მიერ ფიქსირებულ სვანურ მასალასთან ივანე და ბესარიონ ნიჟარაძეების უშუალო კონტაქტის ასახვა ჩანს.

როგორც მიღებულია ინდოევროპულ ენათა ლექსიკონებში, აქაც ზმნები წარმოდგენილია ინფინიტივის ფორმით, თუმცა ზოგჯერ მას მიწერილი აქვს სხვადასხვა მწკრივის ან მიმღეობათა მონაცემებიც:

Kill (to) – *lidgari* (cf. *dil*, death), *he* – *killed* – *adgar*, *adghar*⁸, *chukhodgara*; *they killed* – *chadgarkh*, *chuadgarkh*.

როგორც ვხედავთ, აორისტისა („მოკლა“) და I თურმეობითის („მოუკლავს“) მხოლოდობით-მრავლობითის თუ რთულპრევერბიანი ფორმები მასდარი-სეულ („კვლა“) უპრევერბო მონაცემთანაა მოყვანილი.

საგანგებო ყურადღება უნდა მივაქციოთ ევროპელ მკვლევართა ლათინურ ტრანსკრიფციას, რომელსაც ისინი იყენებდნენ იბერიულ-კავკასიურ ენათა სპეციფიკური (მკვეთრი, ფშვინვიერი, ლატერალური, ფარინგალური, გრძელი, უმლაუტიანი, ელიზიური და ა. შ.) ფორმების აღსანიშნავად. დ. პიკოკის „ხუთი დასავლეთკავკასიური ენის ორიგინალური“ ლექსიკონის⁹ გამომცემელი, ინგლისელი აღმოსავლეთმცოდნე რობერტ ნიდჰემ კასტი (რომელსაც კავკასიის რეგიონი მიაჩნდა ენათა ამოუწურავ ნიმუშად) ურჩევს მის ავტორს (და სხვებსაც!), გამოიყენოს ტრანსლიტერაციის ლექსიუსისეული სისტემა, რადგანაც ის საუკეთესოა, ხოლო, თუ ასე არ მოხდა, მაშინ ლექსიკონში წარმოდგენილი უნდა იყოს განმარტებანი თითოეული ასო-ბგერის, სიმბოლოსა თუ დიაკრიტიკული ნიშნის ზუსტი მნიშვნელობის შესახებ [21, გვ. 145]. როგორც ჩანს, არც კასტი და არც პიკოკი (განსხვავებით ო. უორდროპისაგან!) არ იცნობდნენ აკადემიკოს პეტრე უსლარის ნაშრომს „*Лущу Анбан*“ [28], რომელშიც, რუსულ ანბანზე დაყრდნობით და შესაბამისი დიაკრიტიკული ნიშნების გამოყენებით,

⁸ მცდარია ფორმაც და ტრანსკრიფციაც... ბუნებრივია, რომ არალინგვისტი (თუმცა ძალზე განათლებული) ოლივერი ზოგჯერ სემანტიკაშიც სცოდავს, მაგრამ ევროპელ ავტორს არასამართლიანი შენიშვნა არ უნდა მივცეთ. მის ლექსიკონში *Son* „შვილია“ ან „ბავშვი“. უნდა იყოს „ვაჟიშვილი“ – აღნიშნავს ნ. აბესაძე [1, გვ. 306]. სვანები გეზალ'ს დღემდე იყენებენ კონკრეტული („ვაჟიშვილის“) მნიშვნელობითაც [იხ. 17, გვ. 93].

⁹ რატომ ერქვა ამ ლექსიკონს ორიგინალური, ამის შესახებ საგანგებოდ ვიმსჯელებთ სხვაგან.

არალინგვისტმა თითქმის უშეცდომოდ წარმოადგინა სვანური ფონემები საუკუნე ნახევრის წინ. მიუხედავად იმისა, რომ „პეტრე უსლარის კავკასიოლოგიური შრომები არ ძველდება“ [17, გვ. 186-187], მან დაუშვა ძალზე უხეში შეცდომა (თუ ცარიზმის პოლიტიკა გაატარა?), რადგანაც არც „Лушну Анбан“ უნდა ეწოდებინა თავისი ნაშრომისათვის და არც „Сванетская азбука“! [10, გვ. 42-43].

შესასწავლია და გამოსაკვლევი, აგრეთვე, ოლივერ უორდროპის დამოკიდებულება აკადემიკოს ნიკო მარის იაფეტური თეორიისადმი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა 1922-1923 წლებში ლონდონში გამოქვეყნებული მისი რეცენზიები ფ. ბრაუნის და ნ. მარის ნაშრომზე „Jafetische Studien zur Sprache und Kultur Eurasiens“.

რაც შეეხება მარჯორი უორდროპს, მას შედარებით მეტი დრო ჰქონდა (ძმა ზომ დიპლომატიური სამსახურით იყო დაკავებული!) – ბათუმში ცხოვრობამ ლონდონელ ქალბატონს მისცა შესაძლებლობა, გაეცნო თითქმის მთელი დასავლეთი საქართველო და ასე შეეკრიბა ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრების ამსახველი სხვადასხვა მასალა. მათ შორის აღსანიშნავია: გურული, მეგრული და სვანური ზღაპრების თარგმანები, რომელთაგან პირველი და მეორე ასე თუ ისე ცნობილია მკითხველი საზოგადოებისათვის, რადგანაც მარჯორის სიცოცხლეშივე [24] (1894 წ.) გამოიცა ლონდონში, ხოლო სვანური ზღაპრები ხელნაწერის სახით დღემდე ხელუხლებლად (ყოველ შემთხვევაში, ქართველთაგან!) დევს ოქსფორდის ბოდლეს ბიბლიოთეკაში. იქვეა „თავისუფალი სვანის“ (ანუ ბესარიონ ნიჟარაძის) ქუთაისში გამოცემული „სვანური ზღაპრები“ (1893 წ.), რომელშიც 16 ტექსტია მოთავსებული. ჩვენთვის ცნობილია, რომ მარჯორი უორდროპმა ინგლისურად თარგმნა „სვანთა რწმენა-წარმოდგენები“ და „ამირანი“, რომელთა ხელნაწერები დღესაც ბოდლეს ბიბლიოთეკაშია, მაგრამ, რა ბედი ეწია დანარჩენ 14 ზღაპარს, ეს ოქსფორდში უნდა გავარკვიოთ. „ინგლისურ-სვანური ლექსიკონის“ [25] წინასიტყვაობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უორდროპები აპირებდნენ სვანური ზღაპრების გამოქვეყნებას (ალბათ, ბ. ნიჟარაძისეული გამოცემის მიხედვით!), მაგრამ რატომ არ დაიბეჭდა მარჯორის თარგმანები, გაუგებარია (48 გრაფემის შემცველი სვანური შრიფტი ლონდონში, ოქსფორდში ან კემბრიჯში ვერ იშოვეს?! – ბოლოსდაბოლოს, ლათინური ტრანსკრიფციის გამოყენება ზომ შეიძლებოდა?!). მართალია, ოლივერ უორდროპი არ იყო ენათმეცნიერი, მაგრამ შეუძლებელია მას არაფერი სცოდნოდა ნიკო მარის იაფეტური ანალიტიკური ანბანისა ან სანკტ-პეტერბურგში, რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის არქივში, დაცული „Сван-

ско-русский словарь“-ის შესახებ (რომელიც, სამწუხაროდ, დღემდე გამოუქვეყნებელია!); ის ხომ სანკტ-პეტერბურგში კარგა ხანს მოღვაწეობდა?!

ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინ წერდა პროფ. ლეილა თაქთაქიშვილი-ურუშაძე: „მარჯორი უორდროპს ხელნაწერის სახით დარჩენია სვანური ხალხური ზღაპრების თარგმანი. ამ თარგმანის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე არაფერია ცნობილი და, ცხადია, მისი მიკვლევა დიდ ინტერესს გამოიწვევს“ [4, გვ. 73].

მოსალოდნელია, რომ და-ძმას გარკვეულწილად სვანურიც შეესწავლათ, ისე სწრაფად ითვისებდნენ ისინი განსხვავებული ტიპოლოგიის ენებს. როცა დიდებულმა აკაკი წერეთელმა აღფრთოვანება ვერ დამალა მარჯორის ქართულის მოსმენისას, მის შეკითხვაზე – ორ წელიწადში როგორ ისწავლეთ ასეთი რთული ენაო – ჩვენს ქვეყანაზე შეყვარებულ ქალბატონს ამაყად უპასუხია „საქართველოს უგვირგვინო მეფისთვის“: აბდალი უნდა იყო, ორ წელიწადში ენა რომ ვერ შეითვისო. მაშასადამე, არც დიალექტები დარჩენიან უორდროპებს უყურადღებოდ.

ბოდლეს სახელგანთქმულ ბიბლიოთეკაში არაერთი კავკასიოლოგიური კრებული დევს; მათ შორის თავისი მაღალმეცნიერული მნიშვნელობით გამოირჩევა ლონდონის სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტის დუგლას ფრეშფილდის ორტომეული (1896, 1904 წ.წ.) "Exploration of the Caucasus" [23], რომელიც გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისთვის გამოუგზავნიან დიდი ბრიტანეთიდან. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ეს წიგნები სხვაგან არსადაა საქართველოში!¹⁰

ნაშრომი ინტერდისციპლინური ხასიათისაა, რომელშიც დეტალურადაა მოთხრობილი ალპინისტთა სამარშრუტო მყინვარებთან ახლოს მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა წეს-ჩვეულების შესახებ ლენხუმში, ქვემო სვანეთსა (განსაკუთრებით დღემდე მხოლოდ ფრაგმენტულად შესწავლილ ჩოლურის თემში) და ზემო სვანეთში.

ჩვენს ყურადღებას, უპირველეს ყოვლისა, იქცევს თითქმის საუკუნე ნახევრის წინანდელი ტოპონიმისა და ონომასტიკა. ასე მაგალითად: ავტორი სა-

¹⁰ დიდი პატივისცემით გვინდა მოვიხსენიოთ შესანიშნავი კავკასიოლოგი პროფესორი ჯორჯ ჰიუიტი და მესტიის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის ადმინისტრაციული სექტორის ხელმძღვანელი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა განყოფილების კურსდამთავრებული ქალბატონი რუსუდან ჯაფარიძე, რომელთაც დაგვაკვალანეს დ. ფრეშფილდის ნაშრომის I ტომის სვანეთისადმი მიძღვნილი ნაწილის [23, გვ. 182-278] შესასწავლად.

განგებოდ მსჯელობს ორგუზიანი უშბის მახლობლად მდებარე მწვერვალის – გულბა'ს შესახებ. ვფიქრობთ, ეს ტოპონიმი უნდა უკავშირდებოდეს სვანეთში დღესაც საკმაოდ გავრცელებულ გვარს გულბან, სადაც სვანური -ან მორფემის წინამდებარე -ბა (გულბან <*გულ-ბა-ან) აფხაზური ონომასტიკის ოდინდელი მაწარმოებელი ჩანს.

აღბათ, კიდევ უფრო რთულია უშბა'ს (რატომღაც „წვიმის მთად“ მოხსენიებული) ეტიმოლოგიის გარკვევა. ამიტომ კვლევის სასურველი შედეგების მისაღწევად აუცილებელია -ბა ტოპოფორმანტა შემცველი მონაცემების მოძიება სვანურსა და აფხაზურ ენებში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დ. ფრეშფილდის ორივე წიგნი ილუსტრირებულია მსოფლიოში პოპულარული ალპინისტისა და მკვლევარის, იტალიელი ვიტორიო სელას ფოტოებით, რომელთა წარწერებში არაერთი არქაული ფორმა გვხვდება; ასეთია, მაგალითად, სოფელ უშგულის ერთ-ერთი თემის სახელწოდება *ჩუბიან* (შდრ. თანამედროვე უძლავუტიზირებული ჩუბიან). იტალიის ელჩის მიქელანჯელო პიპანის აზრით, ამ ფოტოების ამაღლებული სისადავის ძალა წარმოგვიდგენს კავკასიონის პირველქმნილი დიდებულების ანარეკლს და მიუვალი ხეობების მკვიდრთა მშვიდ სიამაყეს. ვისურვებდი, რომ თანამედროვე მკვლევრები მიჰყვნენ ვიტორიო სელას საუკუნეზე მეტი ხნის წინ დატოვებულ კვალს და ხელახლა აღმოაჩინონ კავკასიის საოცარი სილამაზე [3, გვ 5-6]. მესტიის მუზეუმში დღემდე სათუთად დაცულ ეგზემპლარებს აქა-იქ აქვთ რაღაც აღნიშვნები (ფანქრით შესრულებული), რაც იმას ნიშნავს, რომ ამ წიგნებით ვიღაც დაინტერესებულა, თუმცა საქართველოში მათი ლინგვოკულტუროლოგიური კვლევის შედეგებს ჯერჯერობით ვერსად მივაკვლიეთ.

რაოდენ გულისამაჩუყებელია ქალბატონი მარჯორის, როგორც ნათლიის, ბუქარესტიდან საქართველოში მოწერილი ბარათის სტრიქონები: „რუმინიაც მშვენიერი ქვეყანა არის, მაგრამ სად არის სხვა საქართველო?! დიდი სურვილი მაქვს, რომ კიდევ მღირსებოდა მისი ნახვა“ (ხელნაწერთა ინსტ. ფონდი №7121/H-d). მას რამდენიმე ქართველი ნათლული ჰყავდა, მათ შორის ერთ-ერთი გახლდათ ზემო სვანი ირაკლი როსტომის ძე ავალიანი, – მკვიდრი სოფელ პადიშისა, რომლის მოსახლეობამ ქართველ ერს ბარბაროსთა შემოსევებისგან გადაურჩინა პირველი თარიღიანი (897 წ.) ხელნაწერი სახარების ტექსტისა.

ვერც აკაკი წერეთლის ლექსს წაიკითხავთ აუღელვებლად!

– სახელგანთქმულ ინგლისიდან შემოფრინდა ჩვენში ობლად,
ვით მერცხალი, მოჭიკჭიკე გაზაფხულის მახარობლად.
აჭიკჭიკდა და აგვისსნა: თქვენგან მე ბევრს გამოველი,
არ მოკვდება, არა, ერი, ვინც წარმოშვა რუსთაველი!

„სიკვდილის სარეცელზე მყოფ 40 წლის მარჯორის ენა წართმევია. რაკი ხმის ამოღება ვერ მოუხერხებია, ნახევრადგაყინული ხელით მოუხაზავს სიტყვა საქართველო – სახელი იმ ქვეყნისა, რომელსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე ხატად ისახავდა“ [4, გვ. 120].

აუცილებლად საჭიროა ოქსფორდში დაცული არქაული ქართველური ტექსტების მოპოვება, მათ საფუძველზე თარგმნითი ლექსიკონების შექმნა და მათში დადასტურებულ გრამატიკულ ფორმათა ლინგვისტური ანალიზის ჩატარება თუ ყურადსაღებ ლექსებათა ძირების ეტიმოლოგიური კვლევა.

მეტად მნიშვნელოვანია პროფესორების: ლეილა თაქთაქიშვილის, მარიკა ოძელის, ნინო აბესაძის, ნიკოლოზ ალექსიძისა და ირინე ლობჯანიძის დამსახურება უორდროპთა ღვაწლის კვლევის საქმეში, მაგრამ მათ შრომებში თითქმის არაფერია ნათქვამი ზემოაღნიშნულ ტექსტებთან დაკავშირებით [7], [8], [1], [4], [13]. რაც შეეხება მოგონებებს, ამ მხრივ ყველასგან გამოირჩევა დიდი ილიას, აკაკისა და ჩვენი სახელოვანი მოღვაწის – თედო სახოკიას სტატიები. აღსანიშნავია, აგრეთვე, ახალგაზრდა კოლეგების ნინო და მაია ღამბაშიძეების როლი ოლივერ უორდროპის „ინგლისურ-სვანური ლექსიკონის“ ცალკე წიგნად გამოქვეყნების საქმეში (თბილისი, გამომცემლობა acad.ge, 2018, გვ. 3-70); არ უნდა დავივიწყოთ საქმიანობა ასპირანტ ქეთევან გენებაშვილისაც, რომელმაც, იზა ჩანტლაძის დავალებით, „ენათმეცნიერების საკითხებში“ გამოაქვეყნა რეცენზია დ. პიკოკის ნაშრომზე „Original Vocabularies of Five West Caucasian Languages“ [2], მაგრამ, სამწუხაროდ, შემდგომ ამ მიმართულებით მას მუშაობა აღარ გაუგრძელებია. აქვე გვინდა უდრმესი მადლობა მოვახსენოთ აკადემიკოს ელგუჯა ხინთიბიძეს, რომელმაც მაშინ ინგლისიდან ჩამოგვიტანა ბოდლეს ბიბლიოთეკაში დაცული დემეტრიუს რუდოლფ პიკოკის ლექსიკონის ასლი.

ოქსფორდისა და თბილისის უნივერსიტეტების თანამედროვე მეცნიერული კონტაქტები საფუძვლად დაედო არაერთი მაღალაკადემიური ნაშრომის შექმნას. ამ მხრივ გამოირჩევიან ივანე ჯავახიშვილის სახელობისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტების ლიტერატურათმცოდნეები, ლინგვისტები, ეთნოლოგები, ისტორიკოსები და მუსიკათმცოდნეები. უკანასკნელ ხანებში სპეციალისტთა ყურადღება მიიქცია პროფესორების ზაალ კიკვიძისა და ლევან ფაჩულიას საქმიანობამ XVIII-XIX საუკუნეებში მოღვაწე ინგლისელი დიპლომატე-

ბის ჯორჯ ელისისა და დემეტრიუს პიკოკის ლექსიკონებში მოცემული მეგრული მასალების წარმოდგენის თვალსაზრისით [18], [19], [20]. მათ თბილისსა და კიევში ინგლისურ ენაზე გამოაქვეყნეს სამი სტატია ამ მიმართულებით, ხოლო მეოთხე („ერთი ინგლისურ-კავკასიური ლექსიკოგრაფიული რესურსის შესახებ“) ქართულად იბეჭდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო კრებულში „კავკასიოლოგიური ძიებანი“ [5]. განსაკუთრებით გვინდა გავხაზოთ მ. ოძელისა და ზ. კიკვიძის დამსახურება ჯეიმს ედვარდსის მიერ ლონდონში 1788 წელს გამოცემული წიგნის „Memoir of a Map of the Countries Comprehended Between the Black Sea and the Caspian; with an Account of the Caucasian Nations, and Vocabularies of Their Languages“ ანონიმური ავტორის ჯორჯ ელისად გამოცხადების საქმეში [15]. სპეციალურ ლიტერატურაში ადრე არსებული მცდარი ვარაუდი მათ საბოლოოდ გააქარწყლეს დამატებითი ინგლისურენოვანი დოკუმენტაციის მოპოვებით.¹¹

რაკი უკვე სერიოზულად დაიწყო კვლევა ევროპელ მოგზაურ-დიპლომატთა მიერ ფიქსირებული უმწერლობო ქართველური ენების მასალებისა (თუმცა ლაზური ლექსემების, სინტაგმებისა თუ ფრაზების ლინგვისტური ანალიზის თვალსაზრისით კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი!), ბუნებრივია, უპირველეს ყოვლისა, ფუძეენასთან ყველაზე ახლო მდგომი სვანური უნდა გაგვხსენებოდა თავისი არქაული ლექსიკითა თუ გრამატიკული სტრუქტურით – ეს ასეც მოხდა, თუმცა ძალზე გვიან! კარგი იქნებოდა, ადრე ჩავღრმავებოდი შესაბამის პრობლემებს, რომელთა კვლევით გარკვეულ წვლილს შევიტანდი იუნესკოს მიერ 2019 წლის მარჯორი უორდროპის წლად გამოცხადებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში, მაგრამ, სამწუხაროდ, საკმაოდ მძიმე სოციალურ-პოლიტიკურ დაბრკოლებათა გადალახვა გვიწევს ხოლმე ქართველ მეცნიერებს მუშაობის პროცესში.

ჩვენი სამეცნიერო ჯგუფის მუშაობის შედეგები მონოგრაფიულად აისახება ვრცელ აკადემიურ პუბლიკაციაში ქართულ და ინგლისურ ენებზე და აიტვირთება ინტერნეტსივრცეში ამერიკელი კოლეგის ელიზაბეტ ლანეს (წარმოშობით ქართველის) არხზე DAREZKNOW.


XX-XXI საუკუნეებში ევროპელი თუ ამერიკელი მეცნიერები საკმაოდ დაინტერესდნენ ინდოევროპულ ენათაგან ტიპოლოგიურად განსხვავებული

¹¹ ამ ლექსიკონის ავტორად არის დასახელებული ჯორჯ ელისი დავით ბარეტის კატალოგშიც (1973: 78).

სტრუქტურის, მორფოლოგიისა და სინტაქსური კონსტრუქციების მქონე იბერიულ-კავკასიური ენებით, განსაკუთრებით კი – ქართულით; ამიტომ სრულიად ბუნებრივია პარიზული „ბედი ქართლისას“ დამაარსებლისა და მთავარი რედაქტორის, პროფესორ კალისტრატე სალიასადმი მიძღვნილი შემდეგი სტრიქონები: „არც თუ ისე დიდი ხნის წინათ უცხოეთში ქართველოლოგიით სერიოზულად დაინტერესებულ პირთა რიცხვი უმნიშვნელო იყო. მსოფლიოს წინაშე საქართველო არ იყო წარმოჩენილი ისე, როგორც შეეფერება მის ისტორიას, წარსულისა თუ დღევანდლობის კულტურულ სიმდიდრეს, მაგრამ დღეს მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა – უფრო და უფრო მეტი ევროპელი და ამერიკელი მეცნიერი სწავლობს საქართველოს და კავკასიის სხვა ხალხების ენას, ლიტერატურას, ისტორიასა და ხელოვნებას. ქართული ენა და ლიტერატურა მრავალ უნივერსიტეტში ისწავლება, ხოლო კავკასიურ ენათა კვლევა-ძიება ყველგან ვითარდება... „ბედი ქართლისას“ რედაქტორმა შეძლო ჟურნალის ირგვლივ ყველა ქართველოლოგისა და კავკასიოლოგის შემოკრება, აუცილებელი კონტაქტი დაამყარა საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ წარმოებულ კვლევა-ძიებას შორის და გააღვიძა მეცნიერთა ინტერესი ამ ლეგენდარული, მომხიბლავი ქვეყნის ყოველმხრივი შესწავლისადმი. დიდი თავგანწირვის ფასად კალისტრატე სალიამ „ბედი ქართლისა“ გადააქცია საერთაშორისო სახელის მქონე დიდ სამეცნიერო ორგანოდ“ – ეს სიტყვები დაბეჭდილია პარიზში, 1971 წელს, კავკასიოლოგიური ჟურნალის XXVIII ტომში (გვ. 7-8), რომელსაც ხელს აწერენ მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული პროფესორები: იულიუს ასფალგი (მიუნხენის უნივერსიტეტი), ჟერარ გარიტი (ლუვენის უნივერსიტეტი), ფრანსუა გრაფენი და შარლ მერსიე (პარიზის კათოლიკური ინსტიტუტი), რენე ლაფონი (ბორდოს უნივერსიტეტი), დევიდ ლანგი (ლონდონის უნივერსიტეტი), ირენ მელიქოვი (სტრასბურგის უნივერსიტეტი), ჟოზეფ მოლიტორი (ბამბერგის უნივერსიტეტი), გერტრუდ პეჩი (იენის უნივერსიტეტი), კარლ ჰორსტ შმიდტი (ბოხუმის უნივერსიტეტი), ჰანს ფოგტი (ოსლოს უნივერსიტეტის რექტორი) [6].

სამწუხაროდ, დღეს არც ერთი მათგანი ცოცხალი აღარაა, თუმცა მსოფლიოს ყველა ცნობილ ბიბლიოთეკაში ინახება მათი წიგნები, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია კავკასიოლოგიის მაღალი დონე.

„სვანური ზღაპრების“ მარჯორი უორდროპისეული თარგმანის ფრაგმენტები



Amurani

In a wild spot where the life was hard to live,
there stood a small but very high rock. Near
the forest there lived a hunter who spent his
time in hunting in the woods. One day, after
travelling much, the hunter arrived at the
foot of the rock. From the rock, he heard a
noise as if a maiden weeping. The hunter
listened attentively to the crying, and
saw the rock that it seemed to move
so high that he could not reach the top.
He wished to climb to the summit but
saw that it was impossible. So he
went home. At home he had a wife
who was Christian and virtuous. He
told his wife to take provisions for
a journey on the morrow. While he himself
went to the smith to get a chisel and
an iron hammer. Next morning the wife
had the provisions ready and the smith
had made the chisel & hammer. The hunter
arose and went to the rock, he stood at
the foot and began to strike the rock
with the hammer in such a way that
he formed steps. When the chisel was
worn out, and even the hammer was used

ბიბლიოგრაფია

1. აბესაძე, ნ., „რეცენზია ო. უორდროპის წიგნისა "English-Svanetian Vocabulary": იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული, ტ. IX, თბილისი, 1982.
2. გენებაშვილი, ქ., „რეცენზია დ. პიკოვის ნაშრომზე "Original Vocabularies of Five West Caucasian Languages": (JRAS, vol. XIX, Pt. I, 1887), ენათმეცნიერების საკითხები, №1, თბილისი, 2000.
3. ვიტორიო სელა, „საქართველოს კავკასიაზე": სამენოვანი (იტალიურ-ინგლისურ-ქართული) კრებული, რომი, 2001.
4. თაქთაქიშვილი-ურუშაძე, ლ., მარჯორი უორდროპი, თბილისი, 1965.
5. კიკვიძე, ზ., ფაჩულია, ლ., „ერთი ინგლისურ-კავკასიური ლექსიკოგრაფიული რესურსის შესახებ": კავკასიოლოგიური ძიებანი, ტ. X, თბილისი, 2021.
6. ლენგი, დ. მ., „ქართველოლოგიური კვლევა-ძიება ოქსფორდში": ჟურნალი ცისკარი, №4, თბილისი, 1957.
7. ლობჯანიძე, ი., უორდროპთა კოლექციის ონლაინ ვერსია, <https://georgian.bodleian.ox.ac.uk/2018>.
8. ოძელი, მ., ქართულ-ინგლისური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის, თბილისი, 1998.
9. შანიძე, ა., „უმლაუტი სვანურში": არილი - ივანე ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი კრებული, ტფილისი, 1925.
10. ჩანტლაძე, ი., „პეტრე უსლარის "Лышны Анбан"-იდან ვარლამ თოფურიას მიერ შემუშავებულ ტრანსკრიფციამდე": კავკასიოლოგთა IV საერთაშორისო კონგრესის მასალები, თბილისი, 2016.
11. ჩანტლაძე, ი., სვანური ენის შესწავლის ისტორია, თბილისი, 2017.
12. ჩიქობავა, არნ., იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბილისი, 1965.
13. Aleksidze, N. S., *Georgia: A Cultural Journey Through the Wardrop Collection*. Oxford, 2018.
14. Deeters, G., „Armenisch und Südkaukasisch": *Caucasica*, Fasc. III. Leipzig, 1926.
15. Ellis, G. *Memoir of a Map of the Countries Comprehended Between the Black Sea and the Caspian; with an Account of the Caucasian Nations, and Vocabularies of Their Languages*. London, Morfill.

16. G. J. A. G. J. A., *Reisen durch Rußland und im Caucasischen Gebürge*. St. Petersburg, bd. I (1787), Bd. II (1791).
17. Gudjedjani, Ch., Palmaitis, L., *Svan-English Dictionary*, Delmar, New York, 1985.
18. Kikvidze, Z., Pachulia, L., "An Early Landmark in English-Megrelian Lexicography: D. R. Peacock's Contribution": *8th International Research Conference on Education, Language and Literature. Proceedings Book*. Tbilisi: IBSU, 2018.
19. Kikvidze, Z., Pachulia, L., "Prior to D. R. Peacock: Notes on the earliest English-Megrelian Lexicographic resource": *9th International Research Conference on Education, Language and Literature. Proceedings Book*. Tbilisi: IBSU, 2019.
20. Kikvidze, Z., Pachulia, L., "Laz Lexical Data from D. R. Peacock's Collection: Representations, Reflections, Translation": *General and Specialist Translation / Interpretation: Theory, Methods, Practice: International Conference Papers*. Kyiv: Agrar Media Group, 2020.
21. Peacock, D. R., "Original Vocabularies of Five West Caucasian Languages": *JRAS*, vol. XIX, pt. I. London, 1887.
22. Schuchardt, H., *Über das Georgische*. Wien, 1895.
23. Freshfield, D. W., *Exploration of the Caucasus*, v. I, 1896. v. II, 1904, London.
24. Wardrop, M., *Georgian Folk Talles*. London, 1894.
25. Wardrop, O., *English-Svanetian Dictionary*, *JRAS*, vol. 43. London, 1911.
26. Март, Н. Я., *Сванско-русский словарь*, Санкт-Петербург, 1916 (ხელნაწერი).
27. Паллас, П. С., *Сравнительные словари языков и наречий*, СПб, 1787-1789.
28. Услар, П. К., *Лушну Анбан*, Тифлиς, 1864.

სტატიაში განხილულ საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურა:

- ✓ პაპაშვილი მ., ქარჩავა თ., წითლანაძე თ., გოგოლაძე ა., სილაგაძე ნ., *საქართველო XVI საუკუნის ევროპულ წყაროებში*, თბილისი, 2021.
- ✓ ტაბაღუა ი., *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში*, თბილისი, 1984.

- ✓ უორდროპი, ნ., „მარჯორი და ოლივერი“: ჟურნალი „მაცნე“ – ენისა და ლიტერატურის სერია, №2, თბილისი, 1992.
- ✓ ყიასაშვილი, ნ., „ერთი უნიკალური წიგნის შესახებ“: ლიტერატურული საქართველო, თბილისი, 26.VI, 1963.
- ✓ ჩანტლაძე, ი., აფხაიძე, ფ., „სვანური ზღაპრების უორდროპისეულ თარგმანთა ხელნაწერები ოქსფორდის უნივერსიტეტში“: ქართველური მემკვიდრეობა, ტ. 25, ქუთაისი, 2021.
- ✓ ჩიქობავა, არნ. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1979.
- ✓ ჯავახიშვილი, ი. ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტფ., 1937.
- ✓ Hewitt, B. G., “The North Wind and the Sun in Svan”: *BK, YYYSIII*. Paris, 1980.
- ✓ Hewitt, B. G., *Languages in contact in N. W. Georgia: fact or fiction? Caucasian Perspectives*. München, 1992.
- ✓ Lobzhanidze, I., “Digitalization of Georgian Medieval Manuscripts”: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, №4. თბილისი, 2020.
- ✓ Rosen, G., *Über das Mingrelische, Suanische und Abchasische*. Berlin, 1846.
- ✓ Schmidt, K. H., Gudjedjani, Ch., Palmaitis L., “Svan-English Dictionary”: *Kratylos*, 34, 1989.
- ✓ Орловская, Н. К., *Очерки по вопросам литературных связей*, “Русский клуб”, Тбилиси, 2013.
- ✓ Услар, П. К., “Грамматический очерк сванетского языка»: *Этнография Кавказа-Абхазский язык*, Тифлиси, 1887.
- ✓ Чикобава, А. С., “К вопросу о первых текстовых записях по иберийско-кавказским языкам”: *Вопросы языкознания*, №4, Москва, 1962.